ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო
მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №35

ქ. ბათუმი 17 აპრილი 2018 წელი

სხდომას ხელმძღვანელობდა:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე.
სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსის მოადგილე - რამაზ მამულაძე; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგეგმარებისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე (მთავარი არქიტექტორი), უფროსის მ/შ - მირიან მეტრეველი; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი - მამუკა დარჩია; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კახა დიასამიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მათ შორის კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატის შეფასების ფორმებისა და ჩატარების გრაფიკის განსაზღვრა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გამოცხადდეს კონკურსი. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 აპრილის №1506 ბრძანების შესაბამისად განისაზღვრა, რომ ვაკანტურ თანამდებობებზე უნდა ჩატარდეს ღია კონკურსი. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპ-

რილის №204 დადგენილებით დამკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონკურსის პროგრამას, პირობებს, კანდიდატის შეფასების ფორმებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს კომისია. ვინაიდან კონკურსის გამოცხადების თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებულ ინფორმაციასაც, შესაბამისად კომისიამ უნდა განსაზღვროს აღნიშნული საკითხები. ამასთან, მნიშვნელოვანია დადგინდეს კონკურსის თემატიკა და კონკურსანტების შეფასების წესი/ბარიერი.

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსანტების შეფასების წესი/ბარიერი უნდა განისაზღვროს შემდეგი პირობებით:

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) კანდიდატის შეფასება;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

კანდიდატის შეფასება მოხდება:

ა) ტესტირებით/წერითი დავალების მიცემით;

ბ) გასაუბრებით.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უმჯობესია კონკურსის გამოცხადების თაობაზე განცხადება შეიცავდეს მოთხოვნას, რომ კონკურსანტმა საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებ გვერდზე (www.hr.gov.ge) აუცილებლად ატვირთოს სათანადო განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, შრომის წიგნაკის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (იმ ვაკანტურ თანამდებობებზე, სადაც საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია სამუშაო გამოცდილება). აღნიშნული დოკუმენტების ატვირთვა უნდა იყოს სავალდებულო, რომლის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტის განაცხადი არ უნდა იქნეს განხილული კონკურსის პირველივე ეტაპზე. კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტებს განაცხადის შესატანად მიეცემათ 10 დღე.

კონკურსის პირველ ეტაპზე სრულყოფილად წარმოდგენილი განცხადებების გადარჩევა მოხდება კონკრეტული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. კონკურსის მე-2 ეტაპზე მონაწილეობის მიღების უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ იმ კონკურსანტებს, რომლებიც კონკურსის პირველი ეტაპის განაცხადის გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების წესი:

კონკურსანტის მიერ აგროვებადი მაქსიმალური შესაძლო ქულების რაოდენობა შეადგენს 60 ქულას, კერძოდ ტესტირება/წერითი დავალება - 30 ქულა, გასაუბრება - 30 ქულა.

თითოეული კანდიდატი ფასდება კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად. თითოეული კონკურსანტის საბოლოო შეფასების მისაღებად გამოიანგარიშება საშუალო არითმეტიკული ქულა, რომლის გამოსათვლელად კომისიის წევრთა მიერ კონკურსანტისათვის დაწერილი ქულები შეჯამდება და გაიყოფა იმ რიცხვზე, რამდენი კომისიის წევრიც აფასებს კონკრეტულ კონკურსანტს.

კონკურსანტს შეუძლია მოაგროვოს თითოეული ეტაპისთვის შესაძლო შემდეგი მაქსიმალური ქულების რაოდენობა:

მეორე ეტაპი: ტესტირება/წერითი დავალება - კონკურსანტები შეფასდება ტესტირებისა და წერითი დავალების შედეგების საფუძველზე, მაქსიმუმ 30 ქულით.

კონკურსის მეორე ეტაპზე დაიშვება პირველ ეტაპზე შერჩეული ყველა კანდიდატი. ტესტირებაზე გამოყოფილი იქნება 60 წუთი (1 საათი). ტესტების რაოდენობა განისაზღვრება 30 ტესტური შეკითხვით, რომელიც შეფასდება მაქსიმუმ 6 ქულით, 1 სწორი პასუხი შეფასდება 0,2 ქულით.

კონკურსანტს მიეცემა 2 წერითი დავალება, რომელიც შეფასდება მაქსიმუმ 24 ქულით, მაქსიმუმი შესაძლო შეფასება ერთ წერით დავალებაში - 12 ქულა. თითოეულ წერით დავალებაზე გამოყოფილი იქნება 60 წუთი (1 საათი).

ტესტირება და წერითი დავალება ჩატარდება საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულ სამართლებრივ აქტებში, ამ ოქმის დანართის შესაბამისად.

შენიშვნა:

ა) კონკურსანტები, რომლებიც ტესტირებაში მიიღებენ ტესტირების მაქსიმუმ შესაძლო ქულის (6 ქულა) მინიმალურ ზღვარზე 70%-ზე ანუ 4.2 ქულაზე ნაკლებ ქულას არ დაიშვებიან მეორე ეტაპის წერით დავალებაში.

ბ) კონკურსანტები, რომლებიც ვერ გადალახავენ მეორე ეტაპის - ტესტირება/წერითი დავალების მაქსიმუმ შესაძლო ქულების (30 ქულა) მინიმალურ ზღვარს 70%-ს ანუ 21 ქულას არ განიხილებიან კონკურსის შემდეგ ეტაპზე. მეორე ეტაპის მინიმალური გამსვლელი ქულაა 21.

მესამე ეტაპი - გასაუბრება კონკურსანტები შეფასდება ზეპირი გასაუბრების საფუძველზე, მესამე ეტაპის მაქსიმალური ქულაა 30.

მოცემული ეტაპი ტარდება წინასწარ მითითებულ მისამართზე. გასაუბრება კანდიდატებთან ჩატარდება ინდივიდუალურად. ჯამში, თითოეულ კანდიდატთან ზეპირ გასაუბრებაზე გამოყოფილია 10-15 წუთი. გასაუბრება ჩატარდება საკვალიფიკაციო მოთხოვნებში.

შენიშვნა: კონკურსანტები, რომლებიც ვერ გადალახავენ ამ ეტაპის მაქსიმუმ შესაძლო ქულების (30 ქულა) 70%-ს ანუ 21 ქულას არ განიხილებიან კონკურსის საბოლოო შედეგების შეჯამების ეტაპზე.

კანდიდატის მიერ კონსკურსის ყველა ეტაპზე მიღებული საბოლო შეფასებათა შეჯამებით გამოითვლება კანდიდატის საერთო ქულა. კონკურის საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდება ის კანდიდატი, რომელიც კონკურსის მონაწილეთა შორის დააგროვებს უმაღლეს საერთო ქულას. იმ შემთხვევაში, თუკი თანაბარი უმაღლესი საერთო ქულა დააგროვა ერთზე მეტმა კანდიდატმა, გამარჯვებულად გამოვლინდება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს უმაღლეს შეფასებას კონკურსის მეორე ეტაპის (ტესტირება/წერითი დავალება) ჯამური მაქსიმუმი ქულის მიხედვით.

მიზანშეწონილია ყველა ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის მეორე ეტაპის - ტესტირების/წერითი დავალების ჩატარება ეთხოვოს სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიას, რომელიც უზრუნველყოფს ტესტირების/წერითი დავალების საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

კომისიამ დაადგინა:

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 აპრილის №1506 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი ჩატარდეს 03 ეტაპად: ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა; ბ) ტესტირება/წერითი დავალების მიცემა; გ) გასაუბრება.

2. კონკურსში მონაწილეობის პრეტენდენტისათვის საბუთების მიღების ვადა განისაზღვროს კონკურსის გამოცხადების დღიდან (www.hr.gov.ge-ზე გამოქვეყნების დღე) 10 დღის ვადით. საბუთების მიღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით - www.hr.gov.ge.

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის მისამართად განისაზღვროს: ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის ქ. N25.

4. კონკურსანტის განაცხადი არ განიხილება და მოიხსნება კონკურსიდან, თუკი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებად ვებ გვერდზე (www.hr.gov.ge) არასრულყოფილად ატვირთავს სავალდებულოდ ასატვირთ დოკუმენტს, კერძოდ:

- შესაბამისი უმაღლესი განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

- შრომის წიგნაკის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს (იმ ვაკანტურ თანამდებობებზე, სადაც საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია სამუშაო გამოცდილება).

5. კონკურსის პირველ ეტაპზე სრულყოფილად წარმოდგენილი განცხადებების გადარჩევა მოხდება კონკრეტული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

6. კონკურსის მე-2 ეტაპზე მონაწილეობის მიღების უფლება მიეცეთ მხოლოდ იმ კონკურსანტებს, რომლებიც კონკურსის პირველი ეტაპის განაცხადის გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს.

7. განისაზღვროს კონკურსანტის შეფასების შემდეგი წესი:

კონკურსანტის მიერ აგროვებადი მაქსიმალური შესაძლო ქულების რაოდენობა შეადგენს 60 ქულას, კერძოდ ტესტირება/წერითი დავალება - 30 ქულა, გასაუბრება - 30 ქულა.

თითოეული კანდიდატი ფასდება კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად. თითოეული კონკურსანტის საბოლოო შეფასების მისაღებად გამოიანგარიშება საშუალო არითმეტიკული ქულა, რომლის გამოსათვლელად კომისიის წევრთა მიერ კონკურსანტისათვის დაწერილი ქულები შეჯამდება და გაიყოფა იმ რიცხვზე, რამდენი კომისიის წევრიც აფასებს კონკრეტულ კონკურსანტს.

კონკურსანტს შეუძლია მოაგროვოს თითოეული ეტაპისთვის შესაძლო შემდეგი მაქსიმალური ქულების რაოდენობა:

მეორე ეტაპი: ტესტირება/წერითი დავალება - კონკურსანტები შეფასდება ტესტირებისა და წერითი დავალების შედეგების საფუძველზე, მაქსიმუმ 30 ქულით.

კონკურსის მეორე ეტაპზე დაიშვება პირველ ეტაპზე შერჩეული ყველა კანდიდატი. ტესტირებაზე გამოყოფილი იქნება 60 წუთი (1 საათი). ტესტების რაოდენობა განისაზღვრება 30 ტესტური შეკითხვით, რომელიც შეფასდება მაქსიმუმ 6 ქულით, 1 სწორი პასუხი შეფასდება 0,2 ქულით.

კონკურსანტს მიეცემა 2 წერითი დავალება, რომელიც შეფასდება მაქსიმუმ 24 ქულით, მაქსიმუმი შესაძლო შეფასება ერთ წერით დავალებაში - 12 ქულა. თითოეულ წერით დავალებაზე გამოყოფილი იქნება 60 წუთი (1 საათი).

ტესტირება და წერითი დავალება ჩატარდება საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულ სამართლებრივ აქტებში, ამ ოქმის დანართის შესაბამისად.

შენიშვნა:

ა) კონკურსანტები, რომლებიც ტესტირებაში მიიღებენ ტესტირების მაქსიმუმ შესაძლო ქულის (6 ქულა) მინიმალურ ზღვარზე 70%-ზე ანუ 4.2 ქულაზე ნაკლებ ქულას არ დაიშვებიან მეორე ეტაპის წერით დავალებაში.

ბ) კონკურსანტები, რომლებიც ვერ გადალახავენ მეორე ეტაპის - ტესტირება/წერითი დავალების მაქსიმუმ შესაძლო ქულების (30 ქულა) მინიმალურ ზღვარს 70%-ს ანუ 21 ქულას არ განიხილებიან კონკურსის შემდეგ ეტაპზე. მეორე ეტაპის მინიმალური გამსვლელი ქულაა 21.

-მესამე ეტაპი - გასაუბრება კონკურსანტები შეფასდება ზეპირი გასაუბრების საფუძველზე, მესამე ეტაპის მაქსიმალური ქულაა 30.

მოცემული ეტაპი ტარდება წინასწარ მითითებულ მისამართზე. გასაუბრება კანდიდატებთან ჩატარდება ინდივიდუალურად. ჯამში, თითოეულ კანდიდატთან ზეპირ გასაუბრებაზე გამოყოფილია 10-15 წუთი. გასაუბრება ჩატარდება საკვალიფიკაციო მოთხოვნებში.

შენიშვნა: კონკურსანტები, რომლებიც ვერ გადალახავენ ამ ეტაპის მაქსიმუმ შესაძლო ქულების (30 ქულა) 70%-ს ანუ 21 ქულას არ განიხილებიან კონკურსის საბოლოო შედეგების შეჯამების ეტაპზე.

8. კანდიდატის მიერ კონსკურსის ყველა ეტაპზე მიღებული საბოლო შეფასებათა შეჯამებით გამოითვლება კანდიდატის საერთო ქულა. კონკურის საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდება ის კანდიდატი, რომელიც კონკურსის მონაწილეთა შორის დააგროვებს უმაღლეს საერთო ქულას. იმ შემთხვევაში, თუკი თანაბარი უმაღლესი საერთო ქულა დააგროვა ერთზე მეტმა კანდიდატმა, გამარჯვებულად გამოვლინდება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს უმაღლეს შეფასებას კონკურსის მეორე ეტაპის (ტესტირება/წერითი დავალება) ჯამური მაქსიმუმი ქულის მიხედვით.

9. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ან მესამე ეტაპზე ვერცერთი კანდიდატი ვერ გადალახავს დაწესებულ მინიმალურ ბარიერს, აღნიშნულ პოზიციაზე კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდეს.

10. კონკურსის მეორე და მესამე ეტაპზე რეგისტრაციის დროის განმავლობაში (ტესტირების/წერითი დავალების/გასაუბრების დაწყებამდე ერთი საათის განმავლობაში) კანდიდატის გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიო თუ არასაპატიო) მონაწილე ფასდება 0 ქულით.

11. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს ამ ოქმით გათვალისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებით შესაბამისი კონკურსანტების ინფორმირება, მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართისა და დამატებით მობილურ ტელეფონზე sms შეტყობინებების გაგზავნით, კომისიის გადაწყვეტილების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.Batumi. ge გამოქვეყნების გზით.

კომისიის თავმჯდომარე: ნუკრი დეკანაძე

კომისიის წევრები:

რამაზ მამულაძე

ეგარსლან ლომაძე

მერაბ ქიძინიძე

მირიან მეტრეველი

მამუკა დარჩია

კახა დიასამიძე

№	საკონკურსო თანამდებობა	რაოდენობა	ტესტირება (სამართლებრივი აქტები, ყველა პოზიციისათვის)	წერითი დავალება 1 (სამართლებრივი აქტები)	წერითი დავალება 2 (სამართლებრივი აქტები)
1	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის და არქივის განყოფილების უფროსი	1	ა) საქართველოს კონსტიტუცია; ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; გ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.	საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“	„ქ. ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №3 დადგენილება;
2	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1		„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კ ანონი; X თავი	საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“
3	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მოქალაქეთა საკითხების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2		ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულება.	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N41 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი“-თ გათვალისწინებული მუნიციპალური პროგრამები;
4	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3		საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 თავები და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ის მუხლები, რომლებიც განეკუთვნება თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას;	„გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის №36 დადგენილება; „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზ-

					რობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 10 თებერვლის №8 დადგენილება;
5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1		ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულება.	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის №26 დადგენილება; „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

					ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის №27 დადგენილება;
6	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი	1		„პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №629 დადგენილება; „სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №644 ბრძანება;	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2021 წ.წ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულება.
7	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	5		„პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №629 დადგენილება;	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულება.
8	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2		„პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №629 დადგენილება;	„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021-ის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის №533 დადგენილება; „კულტურის სტრატეგია 2025-ის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №303 დადგენილება; „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №601

					განკარგულება; „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის №553 განკარგულება;
9	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ-განვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი	1		„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება; „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილება;	„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი; „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილება;
10	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ-განვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1		„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი; „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილება;	„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილება;
11	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ-განვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3		„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი; თ) „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების	„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“

				გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილება;	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილება;
12	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ-განვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3		„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონი; „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილება;	„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;
13	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ-განვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ისტორიული განაშენიანების ზონის განვითარების განყოფილების უფროსი	1		„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონი; „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონი;	ქ. ბათუმის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №33 განკარგულება „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე" შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის" მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების შესახებ
14	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ-განვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ისტორიული განაშენიანების ზონის განვითარების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1		„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონი	ქ. ბათუმის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №33 განკარგულება „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე" შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის" მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის

					მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების შესახებ
15	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ-განვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1		საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“. მუხლი 25; 25[1]; 26 და 43-54 მუხლები	„მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქარველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილება; „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქარ-თველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;
16	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1		„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი; საქართველოს მთავრობის 30.06.2010 წლის №1015 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის სტანდარტები“;	საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის მეთოდოლოგია“;